



28 აპრილი, 2022 წელი  
#0185

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ  
კომისიას

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-3 და მე-3<sup>1</sup> პუნქტებისა და “მაუწყებელთა ქცევის კოდექსის” მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ შემდეგ ინფორმაციას:

1. საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია “იმედის” სამაუწყებლო ეთერში ძირითადი ყურადღება ეთმობოდა საინფორმაციო, საინფორმაციო-შემეცნებით, პოლიტიკურ თოქ შოუებსა და გასართობ პროგრამებს;
2. შპს “ტელეიმედის” მიერ დაცულია სალიცენზიო პირობებისა და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მოთხოვნები;
3. შპს “ტელეიმედის” დაფინანსების წყაროს საანგარიშო წლის განმავლობაში წარმოადგენდა:
  - 3.1. დამფუძნებლის შენატანი;
  - 3.2. საბანკო სესხი;
  - 3.3. ტელეეთერში რეკლამის განთავსებიდან შემოსული თანხები;
4. 2022 წლის 28 აპრილის მონაცემებით, შპს “ტელეიმედის” მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განმხილველ კომისიაში შემოსული იყო 4 (ოთხი) საჩივარი; 1 არ დაკმაყოფილდა; 1 დაკმაყოფილდა სრულად და 2 დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

1) 2021 წლის 26 მარტი - მოქალაქე თამაზ სოზაშვილის საჩივარი:

(მაუწყებლობის ქცევის კოდექსის 31-ე, მუხლის 33-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების და მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-3 პუნქტის - დარღვევათა შესახებ).

- 2021 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით, საჩივარი დაკმაყოფილდა სრულად.

2) 2021 წლის 21 ივნისი - სოლიდარობის თემის (საჩივარს ასევე აწერს ხელს 9 მოქალაქე) საჩივარი:

(მაუწყებლობის ქცევის კოდექსის მე-6; მე-9; მე-11 და მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი - დარღვევათა შესახებ);

- 2021 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით, საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ (დადგენილად ჩაითვალა მაუწყებლობის ქცევის კოდექსის 33-ე მუხლის პირველი მე-2 და მე-4 პუნქტები);

3. 2021 წლის 23 ივნისი - GDI; MDF; TDI და IDSD-ს საჩივარი;

(მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 31-ე; 32-ე და 33-ე მუხლების დარღვევების შესახებ)

- 2021 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით, საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

- საჩივარი ვერ აკმაყოფილებდა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნას რადგან საჩივრის ავტორი არ წარმოადგენდა „მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის“ მე-2 მუხლის ე) პუნქტით განსაზღვრულ დაინტერესებული პირს.

4. 2021 წლის 25 ივნისი - ესმა გუმბერიძის საჩივარი;

(მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 31-ე; 37 და 38 მუხლების დარღვევათა შესახებ).

2020 წლის 12 თებერვალს საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -

- დადგენილად ჩაითვალა მაუწყებლობის ქცევის კოდექსის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა;
- დადგენილად ჩაითვალა მაუწყებლობის ქცევის კოდექსის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის მეორე ნაწილი და 56-ე მუხლის პირველი და მე-7 ნაწილები.

დამატებით წარმოვადგენთ აუდიტის დასკვნას.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

მარიამ ლომიძე

